ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №303112

ნომერი: AR168801

თარიღი : 25.07.2012

გაცემის თარიღი : 13.08.2012

გაცნობის თარიღი : 13.08.2012

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი დავით აღმაშენებელი , N 83 / ქალაქი თბილისი , ქუჩა მარჯანიშვილი , N 23 ; ქალაქი თბილისი , გამზირი დავით აღმაშენებელი , N 83 / ქალაქი თბილისი , ქუჩა მარჯანიშვილი , N 23 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- სოლომონ დადიანიძე პ/ნ 59001014240
- გორი ს. შერთული

ორგანიზაცია:
- შპს გიორგი 2010 კოდი: 400000547

ნომენკლატურა :

- I კლასი
- დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობა
  ახალი მშენებლობა

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენელთაგან ქალაქ თბილისის მერიაში შექმნილი სათათბირო ორგანოს – გაერთიანებული სამეცნიერო–მეთოდური საბჭოს დებულების მე–3 მუხლის პირველი პუნქტის ,, ბ" ქვეპუნქტისა და მუხლის მე–2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია განსახილველად წარედგინა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენელთაგან ქალაქ თბილისის მერიაში

შექმნილ სათათბირო ორგანოს – გაერთიანებულ სამეცნიერო–მეთოდურ საბჭოს (ოქმი N31, 31.07.2012წ.), რომლის დასკვნის საფუძველზეც უარი ეთქვა ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლი გამზ. N83/ მარჯანიშვილის ქ. N23–ში არსებულ შენობაზე სარეკლამო აბრების მოწყობის წარმოდგენილ ვარიანტს – აბრა განთავსდეს სპეციალურად დატოვებულ სიბრტყეებზე კარის ზემოთ.

სამსახურმა გაითვალისწინა საბჭოს გადაწყვეტილება და მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ განმცხადებელს, მოქ. ს. დადიანიძეს უარი უნდა ეთქვას თხოვნის დაკმაყოფილებაზე.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

ვბრძანებ

უარი ეთქვას მოქ. ს. დადიანიძეს ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლი გამზ. N83/ მარჯანიშვილის ქ. N23–ში არსებულ შენობაზე სარეკლამო აბრების მოწყობის წარმოდგენილი ვარიანტის შეთანხმების თაობაზე.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.